

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1 - 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	8-24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართის“ აქციონერებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს „ბამბის ნართის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ამ დასკვნის ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, ვაკმაყოფილებთ ამ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ და საქართველოში არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ მოცემული თითოეული საკითხისთვის, განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის, ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

საინვესტიციო ქონების შეფასება

2017 წელს, კომპანიამ მოახდინა საინვესტიციო ქონების შეფასება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი ექსპერტი საინვესტიციო ქონების შესაფასებლად. აღნიშნული შეფასება მნიშვნელოვანი იყო ჩვენი აუდიტისთვის, გამომდინარე იქიდან რომ შეფასების პროცესი არის რთული და მოიცავს მრავალ დაშვებებს.

შედეგად, ჩვენი აუდიტის პროცედურები მოიცავდა კომპანიის მიერ გაკეთებული დაშვებების და ვარაუდების კრიტიკულ შეფასებას. აღნიშნული მოიცავდა ჩვენი დამოუკიდებელი შემფასებლის ჩართვას აუდიტის პროცესში. საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებული სხვა დეტალები მოცემულია შენიშვნა 8.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. მმართველობით ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაციის მიღებას ჩვენი აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ ველით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრეფთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

2019 წლის 30 აპრილი

სს “ზამზის წართი”
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)
2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		10,030,680	10,442,642
ძირითადი საშუალებები	6	198,884	228,638
საინვესტიციო ქონება	7	9,806,757	10,214,004
სხვა გრძელვადიანი აქტივები		25,039	-
მიმდინარე აქტივები		498,260	72,522
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	191	2,993
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	55,519	53,890
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	442,550	15,639
სულ აქტივები		10,528,940	10,515,164
კაპიტალი და რეზერვები			
სააქციო კაპიტალი		926,304	926,304
აკუმულირებული მოგება		9,136,767	9,549,927
სულ კაპიტალი		10,063,071	10,476,231
მიმდინარე ვალდებულებები		465,869	38,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	77,932	20,996
გადასახდელი დივიდენდები	19	387,937	17,937
სულ ვალდებულებები		465,869	38,933
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,528,940	10,515,164

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
30 აპრილი, 2019
თბილისი, საქართველო

დირექტორი
30 აპრილი, 2019
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

სს "ბამბის წართი"

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	12	286,706	267,740
ხელფასის ხარჯები	13	(132,685)	(200,319)
საოპერაციო ხარჯები	14	(151,211)	(140,978)
საოპერაციო ზარალი		2,810	(73,557)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(525)	(5,429)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	28,227	177,860
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(13,960)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		16,552	98,874
მოგების გადასახადი	16	(59,712)	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(43,160)	98,874

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

30 აპრილი, 2019

30 აპრილი, 2019

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე

სს “ბამბის წართი”

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
1 იანვარი, 2017	926,304	9,451,053	10,377,357
მიმდინარე პერიოდის მოგება	-	98,874	98,874
31 დეკემბერი, 2017	926,304	9,549,927	10,476,231
მიმდინარე პერიოდის ზარალი	-	(43,160)	(43,160)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(370,000)	(370,000)
31 დეკემბერი, 2018	926,304	9,136,767	10,063,071

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
30 აპრილი, 2019	30 აპრილი, 2019
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

სს “ბამბის ნართი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	324,056	309,194
გადახდილი ხელფასები	(105,488)	(203,714)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(101,815)	(79,840)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(123,876)	(56,467)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(7,123)	(30,827)
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(667)	(42,747)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	435,715	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	435,048	(42,747)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	(147)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	-	(147)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(1,014)	(5,417)
ფული და ფულადი ექვივალენტების წმინდა მატება/(კლება)	426,911	(79,138)
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	15,639	94,777
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	442,550	15,639

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
30 აპრილი, 2019	30 აპრილი, 2019
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

1. შესავალი

კომპანია და მისი ოპერაციები

სს „ბამბის ნართი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია ყოფილი სართავი ფაბრიკის ბაზაზე და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 1996 წლის 25 ოქტომბერს გლდან-ნაძალადევის სასამართლოს #1-5-22 დადგენილებით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 200003085. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, ვახტანგ ნინუას ქუჩა #3. კომპანიის ხელმძღვანელია თეონა ლებანიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 858 აქციონერი ფიზიკური პირი და რომლის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს სს „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი“. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს 712,541 ცალს.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქციონერთა პროცენტული წილი გადანაწილებული იყო შემდეგი სახით:

მსხვილი აქციონერები	2018	2017
ქვათაძე ქრისტინე	15.12446%	15.06664%
ჯინჭარაძე ლუიზა	13.03953%	13.03953%
პაპუნაშვილი დავითი	12.68138%	12.68138%
სმირნის რუფინა	12.66720%	12.66720%
ახვლედიანი თამაზი	12.66636%	12.66636%
ღლონტი დავითი	12.66636%	12.66636%
ყურაშვილი მურმანი	7.20899%	7.20899%
მარშანია ზურაბი	5.21851%	5.2185%
სხვა ფიზიკური პირები	8.72721%	8.78503%
სულ	100%	100%

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის მეტად გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

სს "ბამბის ნართი"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღივებო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა, რომელიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კომპანიის სამომავლო ფუნქციონირების საკითხი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფულადი ნაკადი ოპერაციებიდან არის უარყოფითი 7,123 და 30,827 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ზარალია 43,160 ლარი, ხოლო 2017 წლის მოგება შეადგინა 98,874 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით მიდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს 32,391 ლარით და 33,590 ლარით.

კომპანიას გააჩნია საბაზრო ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონება, რომელთან მიმართებაშიც მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ბიზნესის განვითარების მიმართულებით. მენეჯმენტის მოლოდინია, რომ საჭიროების შემთხვევაში საინვესტიციო ქონებიდან ფულადი ნაკადების გენერირებას შეძლებს, შესაბამისად მენეჯმენტი მიიჩნევს რომ სამომავლო პროგნოზები ახალი მენეჯმენტის გეგმის გათვალისწინებით არის პოზიტიური. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ახალი სტრატეგია ეფექტიანია, ამას ნათელიყოფს გაუმჯობესებული ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან და შემცირებული საოპერაციო ზარალი.

შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტი მივიჩნევთ რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

უცხოური სავალუტო ოპერაციები. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ის სადაც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური და საპროცენტო ვალუტა არის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულით კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომელთათვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოძინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია

სს “ზამზის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხება მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წმოდინდება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებულ ნაშთთა მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასიცოცხლო პერიოდი
შენობა ნაგებობები	20-40 წელი
მანქანა დანადგარები	10-40 წელი
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5-10 წელი

სს “ზამზის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ საბაზრო ღირებულებას გადაფასების თარიღში. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება სამართლიანი ღირებულების ცვლილებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში როდესაც მოხდა ცვლილება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

შემოსავლების აღიარება

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართების იჯარით გაქირავება. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადები.

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახდილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა.

გადავადებული გადასახადები განისაზღვრება იმ საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში. გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალი მოგების გასაქვითად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის სააქციო კაპიტალი მოიცავს კომპანიის მიერ გამოცემულ აქციებს.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საინვესტიციო ქონების ღირებულება კომპანიამ მოახდინა საინვესტიციო ქონების შეფასება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი ექსპერტი ქონების შესაფასებლად. მიწის ნაკვეთების საბაზრო ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) ქონების, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთხემოქმედების შედეგად დადებული გარიგებების საფუძველზე. შენობებისა და სხვა უძრავი ქონების ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისა და ქონების აღდგენითი ღირებულების მეთოდები. „კომპანიამ“ საინვესტიციო ქონების შესაფასებლად იგივე მიდგომები გამოიყენა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის. „კომპანიის“ აზრით საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება არ განსხვავდება ზემოთ მოცემული თარიღებისთვის, რადგან უძრავი ქონების ბაზარზე და „კომპანიის“ ოპერაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. (შენიშვნა 8)

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიღება

კომპანიამ მიიღო ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

რამდენიმე სხვა შესწორება და ინტერპრეტაცია მიღებულია პირველად 2018 წელს, მაგრამ არ აქვთ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ვადაზე ადრე არ გადასულა სტანდარტზე, ინტერპრეტაციაზე ან შესწორებაზე, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ არ არის ჯერ ძალაში შესული.

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ჩაანაცვლებს ბასს 11-ს სამშენებლო ხელშეკრულებები, ბასს 18 შემოსავალი და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და მოიცავს, მცირე გამოწვევებისგან, კლიენტებთან გაფორმებული

სს “ზამზის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 შემოაქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია გადავიდა ფასს 15-ზე მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული მეთოდით, სტანდარტი შეიძლება გავრცელდეს გადასვლის თარიღისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე, ან მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის ჯერ არ არის დასრულებული. კომპანიამ გადაწყვიტა, რომ გაავრცელოს სტანდარტი 2018 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები ჩაანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“-ს 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის და გააერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანია გადავიდა ფასს 9-ზე რეტროსპექტიულად, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ არის შესული, მოცემულია ქვემოთ. „კომპანია“ აპირებს ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარე შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

2018 წელს კომპანია გააგრძელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას. კომპანია ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის აპირებს.

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა ნაგებობები	მანქანა დანადაგარები	სხვა	სულ
ღირებულება				
1 იანვარი 2017	217,875	235,752	23,947	477,574
მატება	24,425	168,530	1,075	194,030
31 დეკემბერი 2017	242,300	404,282	25,022	671,604
მატება	-	-	507	507
კლება	-	-	(13,158)	(13,158)
31 დეკემბერი 2018	242,300	404,282	12,371	658,953
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2017	(213,286)	(206,912)	(4,651)	(424,849)
მიმდინარე წელს მიკუთვნებული	(1,749)	(15,226)	(1,142)	(18,117)
31 დეკემბერი 2017	(215,035)	(222,138)	(5,793)	(442,966)
მიმდინარე წელს მიკუთვნებული	(1,358)	(14,596)	(1,149)	(17,103)
31 დეკემბერი 2018	(216,393)	(236,734)	(6,942)	(460,069)
1 იანვარი 2017	4,589	28,840	19,296	52,725
31 დეკემბერი 2017	27,265	182,144	19,229	228,638
31 დეკემბერი 2018	25,907	167,548	5,429	198,884

სს “ზამზის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

7. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ
1 იანვარი 2017	9,378,106	814,740	10,192,846
შეძენა	-	36,207	36,207
კლება	(15,049)	-	(15,049)
31 დეკემბერი 2017	9,363,057	850,947	10,214,004
შეძენა	-	453	453
კლება	(407,700)	-	(407,700)
31 დეკემბერი 2018	8,955,357	851,400	9,806,757

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეფასება გაკეთდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რომელიც არის აკრედიტირებულ დამოუკიდებელი შემფასებელი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასება გაკეთებულია კომპანიის მიერ.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მასალები	191	116
სამშენებლო ნარჩენები	-	2,877
	191	2,993

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	203,590	178,888
დაკლებული გაუფასურების დანაკარგი	(168,971)	(139,998)
წინასწარგადახდილი თანხები	20,900	15,000
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	55,519	53,890

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან. ყოველი წლის ბოლოს კომპანია აფასებს დებიტორების გადახდისუნარიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს რეზერვებს. ყველა მოთხოვნა არის დენომინირებული ლარში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეზერვი გაიზარდა 28,973 ლარით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

სს “ზამზის წართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი
ბალანსი 1 იანვარი 2018	139,998
ცვლილება პერიოდის განმავლობაში	28,973
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	168,971

ქვემოთ მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

წელი	სულ	არც ვადაგადასული და არც გაუფასურებული				
		30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360 დღე
1 იანვარი 2018	53,890	38,762	2,540	5,173	7,415	-
31 დეკემბერი 2018	55,519	36,275	5,489	6,598	7,157	-

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი შესულია საოპერაციო ხარჯებში (იხ. მე-14 შენიშვნა).

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში	1,361	2,720
საბანკო ანგარიშები	441,189	12,919
	442,550	15,639

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია საქართველოს ბანკებში.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	15,603	5,632
საგადასახადო ვალდებულებები	62,329	15,364
	77,932	20,996

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახედვა. ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებულია ლარში.

12. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2018	2017
იჯარით მიღებული შემოსავალი	280,723	237,019
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	5,983	30,721
	286,706	267,740

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

13. ხელფასის ხარჯები და სხვა სარგებელი

	2018	2017
ხელფასის ხარჯები	127,185	106,818
პრემია	5,500	93,501
	132,685	200,319

14. საოპერაციო ხარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ქონების გადასახადი	36,394	36,576
საექვო ვალების ხარჯი	28,973	24,226
საკონსულტაციო ხარჯები	27,903	20,863
ცვეთა და ამორტიზაცია	17,174	18,117
სარემონტო და ტექნიკური მომსახურება	15,087	13,649
აუდიტის ხარჯი	9,614	4,393
თანამშრომლებზე გაწეული სარგებელი	5,972	5,972
სხვა ხარჯები	5,297	14,644
სხვა საგადასახადო ხარჯი	2,687	-
საბანკო ხარჯები	2,110	1,852
იჯარის ხარჯი	-	686
	151,211	140,978

15. სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი

	2018	2017
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	28,227	-
სხვა შემოსავალი	-	177,860
	28,227	177,860

16. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

სს “ბამბის წართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

	2018	2017
მოგების გადასახადის ხარჯი	59,712	-
	59,712	-

2018 წლის 6 დეკემბრს ჩატარდა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, სადაც გამოცხადდა გასაცემი დივიდენდი 370,000 ლარი, რომლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 59,712 ლარი.

17. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 1 იანვარი: ნული)

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

საკრედიტო რისკი. კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის მაქსიმალური დაუცველობა საკრედიტო რისკის მიმართ აქტივების კლასით აისახება ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	55,519	53,889
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები	441,189	12,919
სულ	496,708	66,808

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 10. კომპანიის არც ერთი მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. 2018 წლის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სესხები, შესაბამისად არ არსებობს საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის დაზღვევას.

ფინანსური აქტივები, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაანალიზებულია ვალუტის მიხედვით:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აშშ დოლარი	412,924	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	412,924	-

ეს ცხრილი წარმოადგენს მოგების და ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

	2018
USD გამყარება 10%	41,292
USD ინფლაცია 10%	(41,292)

რისკი გაანგარიშებულია მხოლოდ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ბალანსებისთვის .

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბერი 2017 – 31 დეკემბერი 2018 წლებში მოცემულია ქვემოთ, საგადასახადო ვალდებულების გარეშე:

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	მოთხოვნამდე	1 წელზე ნაკლები	>1 წელი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	10,578	-	10,578
გადასახდელი დივიდენდები	-	-	387,937	-	387,937
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	398,515	-	398,515

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2017	მოთხოვნამდე	1 წელზე ნაკლები	>1 წელი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	5,631	-	5,631
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	17,937	17,937
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	5,631	17,937	23,568

ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 2018 წლის 31 დეკემბრისა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვედა ცხრილში საგადასახადო ვალდებულების გათვალისწინებით:

წელი	მიმდინარე აქტივები	მიმდინარე ვალდებულებები	სხვაობა
2017	66,808	38,933	27,875
2018	496,708	465,869	30,839

19. დაკავშირებული მხარეები

მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 22,000 ლარი (2017: 9,850 ლარი)

კომპანიის აქციონერების მიმართ გასაცემი დივიდენდები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 387,937 ლარს. (2017: 17,937 ლარი)

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არსებითი გავლენა ექნება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართის“ აქციონერებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს „ბამბის ნართის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ამ დასკვნის ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, ვაკმაყოფილებთ ამ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ და საქართველოში არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ მოცემული თითოეული საკითხისთვის, განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის, ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

საინვესტიციო ქონების შეფასება

2017 წელს, კომპანიამ მოახდინა საინვესტიციო ქონების შეფასება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი ექსპერტი საინვესტიციო ქონების შესაფასებლად. აღნიშნული შეფასება მნიშვნელოვანი იყო ჩვენი აუდიტისთვის, გამომდინარე იქიდან რომ შეფასების პროცესი არის რთული და მოიცავს მრავალ დაშვებებს.

შედეგად, ჩვენი აუდიტის პროცედურები მოიცავდა კომპანიის მიერ გაკეთებული დაშვებების და ვარაუდების კრიტიკულ შეფასებას. აღნიშნული მოიცავდა ჩვენი დამოუკიდებელი შემფასებლის ჩართვას აუდიტის პროცესში. საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებული სხვა დეტალები მოცემულია შენიშვნა 8.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. მმართველობით ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაციის მიღებას ჩვენი აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ ველით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოექცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული

აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრეფთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე



სს "ბამბის ნართი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები	10,030,680	10,442,642
ძირითადი საშუალებები	6 198,884	228,638
საინვესტიციო ქონება	7 9,806,757	10,214,004
სხვა გრძელვადიანი აქტივები	25,039	-
მიმდინარე აქტივები	498,260	72,522
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8 191	2,993
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9 55,519	53,890
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10 442,550	15,639
სულ აქტივები	10,528,940	10,515,164
კაპიტალი და რეზერვები		
სააქციო კაპიტალი	926,304	926,304
აკუმულირებული მოგება	9,136,767	9,549,927
სულ კაპიტალი	10,063,071	10,476,231
მიმდინარე ვალდებულებები	465,869	38,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11 77,932	20,996
გადასახდელი დივიდენდები	19 387,937	17,937
სულ ვალდებულებები	465,869	38,933
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10,528,940	10,515,164

ხელმომწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

30 აპრილი, 2019

თბილისი, საქართველო

დირექტორი

30 აპრილი, 2019

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

სს "ბამბის ნართი"

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	12 286,706	267,740
ხელფასის ხარჯები	13 (132,685)	(200,319)
საოპერაციო ხარჯები	14 (151,211)	(140,978)
საოპერაციო ზარალი	2,810	(73,557)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(525)	(5,429)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15 28,227	177,860
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(13,960)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	16,552	98,874
მოგების გადასახადი	16 (59,712)	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	(43,160)	98,874

ხელმომწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

30 აპრილი, 2019

30 აპრილი, 2019

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე

სს "ბამბის ნართი"

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
1 იანვარი, 2017	926,304	9,451,053	10,377,357
მიმდინარე პერიოდის მოგება	-	98,874	98,874
31 დეკემბერი, 2017	926,304	9,549,927	10,476,231
მიმდინარე პერიოდის ზარალი	-	(43,160)	(43,160)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(370,000)	(370,000)
31 დეკემბერი, 2018	926,304	9,136,767	10,063,071

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

30 აპრილი, 2019

30 აპრილი, 2019

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

სს "ბამბის ნართი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	324,056	309,194
გადახდილი ხელფასები	(105,488)	(203,714)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(101,815)	(79,840)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(123,876)	(56,467)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(7,123)	(30,827)
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(667)	(42,747)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	435,715	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	435,048	(42,747)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	(147)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	-	(147)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(1,014)	(5,417)
ფული და ფულადი ექვივალენტების წმინდა მატება/(კლება)	426,911	(79,138)
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	15,639	94,777
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	442,550	15,639

სამეთვალყურეთ საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

30 აპრილი, 2019

30 აპრილი, 2019

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-24 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი“-ს აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2019 წლის 30 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 30 აპრილის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავატიარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 30 აპრილს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

16 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი“ (ს/ნ 200003085)

2018 წელი

სს „ბამბის ნართი“-ს დირექტორი:

/თეონა ლეხანიძე/

სააქციო საზოგადოება „ბამზის ნართი“

2018 წლის მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

ისტორია, დამფუძნებლები -----	3
მმართველობა-----	4
საქმიანობის სფერო -----	5
ფინანსური მაჩვენებლები -----	6
რისკები -----	8
განვითარების გეგმები, მიზნები -----	10

ისტორია, დამფუძნებლები

სს „ბამბის ნართი“ დაფუძნდა თბილისის ყოფილი სართავი ფაბრიკის ბაზაზე, წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს და რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნამალადევის სასამართლოს მიერ 25/10/1996 წელს, რეგისტრაციის #1/5-22. საწარმოს ფორმაა სააქციო საზოგადოება (შემდგომში „საზოგადოება“). საზოგადოების სახელწოდება/საფირმო სახელწოდება: სს „ბამბის ნართი“. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ნამალადევის რაონი, ვახტანგ ნინუას ქ. N 3 საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია: s.s.bambisnarti@mail.ru

საზოგადოების დამფუძნებლები არიან თბილისის ყოფილი სართავი ფაბრიკის თანამშრომლები, დღეის მდგომარეობით აქციონრები.

საზოგადოებას ჰყავს 859 აქციონერი, კაპიტალი დაყოფილია 712,541 (შვიდას თორმეტი ათას ხუთას ორმოცდაერთი) ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციებად. თითოეულის ნომინალური ღირებულება არის 1 (ერთი) აშშ დოლარი. ერთი აქცია იძლევა 1 ხმას (სულ აქციათა და ხმათა რაოდენობაა 712,541 აქცია და 712,541 ხმა).

2000 წლიდან სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდები სავაჭროდაა დაშვებული საქართველოს საფონდო ბირჟაზე და კომპანია საქართველოს ეროვნულ ბანკს და საფონდო ბირჟას აბარებს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

აქციათა რეესტრს აწარმოებს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“.

დაფუძნების მომენტში სააქციო საზოგადოების (კომპანიის) ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა სახალხო მოხმარების საქონლის და საწარმოო ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის წარმოება, შეძენა და რეალიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საგარეო ბაზარზე.

1996 წლის დეკემბრიდან საწარმომ შეაჩერა წარმოება ქვეყანაში არსებული ზოგადი პრობლემის გამო. მასიურად შეჩერდა ნართის მომხმარებელი საწარმოოების ფუნქციონირება და ბაზარზე აღარ იყო მოთხოვნა. ამასთან ერთად საზოგადოებას შეეძლო და დღესაც შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, მას შემდეგ დღემდე საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგებს საიჯარო მომსახურება.

საზოგადოება მოქმედებს „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების და წესების შესაბამისად.

„ბამბის ნართის“ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე სხვა საწარმოსთან შერწყმა ან სხვა საწარმოს შეძენა არ მომხდარა. კომპანიას აქვს ერთი იურიდიული მისამართი, ერთ სათაო (საოფისე) შენობა, და რამოდენიმე შენობა-ნაგებობა, რომელიც გაცემულია იჯარით და წარმოადგენს კომპანიის ძირითად შემოსავალს. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

მმართველობა

საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 3 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ამ კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 (შვიდი) წევრისაგან. :

1. დავით პაპუნაშვილი (პ/ნ 01030000775) - თავმჯდომარე/წევრი
2. გულო მარშანია (პ/ნ 01007008036) - თავმჯდომარის მოადგილე/წევრი
3. ქრისტიანე ქვათაძე (პ/ნ 01007008036) - წევრი
4. რუფინა სმირნის (პ/ნ 01026003650) - წევრი
5. თამაზ ახვლედიანი (პ/ნ 01026002037) - წევრი
6. დავით ღლონტი (პ/ნ 01008013727) - წევრი
7. ლუიზა ჯინჭარაძე (პ/ნ 01025002462) - წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება არ იყოს საზოგადოების აქციონერი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს აქციონერთა კრება ირჩევს 4 (ოთხი) წლის ვადით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების. გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან არ მომხდარა.

იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი.

საზოგადოების საქმიანობის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

დაარსების დღიდან საზოგადოებას ყავდა რამოდენიმე დირექტორი, კომპანიის დირექტორი 2015 წლის 9 მარტდან დღემდე არის თეონა ლებანიძე (პ/ნ 01030045186).

კომპანიის თანამშრომლების ხელფასების გაცემა ხორციელდება კომპანიის შემოსავლებიდან გამომდინარე. თითოეული თანამშრომლის ანაზღაურება შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ შრომასთან, ასევე რიგ შემთხვევებში ხდება თანამშრომელთა მატერიალური წახალისება და ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა კომპანიის მიერ. კომპანიაში დასაქმებული ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით და დასაქმებულია შესაბამისი სპეციალობით, რაც განუხადვრავს კომპანიის ეფექტურ და გამართლ ფუნქციონირებას დღევანდელი

მოთხოვნებიდან გამომდინარე დასაქმებულთა რაოდენობა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის, დღეის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა არის 18 მომუშავე პერსონალი და 17 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი რომლებსაც მიღებული აქვთ საწარმოო ტრავმა, შესაბამისად, იღებენ ყოველთვიურ ანაზღაურებას დასახიჩრების ხარისხიდან გამომდინარე. კომანია მუდმივად ურიცხავს შესაბამის თანხას ყოველთვიურად.

საქმიანობის სფერო

უკანასკნელი 10 -15 წლის მანძილზე კომპანია დაკავებულია საიჯარო საქმიანობით და ელექტროენერგიის ტრანზიტის მომსახურებით. დღეის მდგომარეობით ჯამში იჯარით გაცემულია 5,045 კვ.მეტრის ფართობი, ხოლო ელექტროენერგიის მომსახურება ხორციელდება 8 ობიექტზე.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება:

	2018	2017
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	286,706	267,740
ხელფასის ხარჯები	(132,685)	(200,319)
საოპერაციო ხარჯები	(151,211)	(140,978)
საოპერაციო ზარალი	2,810	(73,557)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(525)	(5,429)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	28,227	177,860
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(13,960)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	16,552	98,874
მოგების გადასახადი	(59,712)	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	(43,160)	98,874

კომპანიის შემოსავალის ზრდა 2017 წელს გამოიწვია, იჯარით გაცემული ფართის გაზრდამ, რაც აისახა ყოველთვიურ შემოსავალში.

ხელფასების შემცირება წინა წლების მდგომარეობასთან შედარებით გამოწვეულია პრემიების გაცემის შემცირებით, თავად ხელფასი არ შემცირებულია მოხდა მცირედი მატება გასულ წელთან შედარებით.

ცვლილება არასაოპერაციო შემოსავალში გამოიწვია ძირითადი საშუალებების გადაფასებამ.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოხდა ქონების შეფასება, კომპანიამ დაიქირავა აკრედიტირებული დამოუკიდებელი შემფასებელი, ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. მიწის ნაკვეთების საბაზრო ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) ქონების, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგებების საფუძველზე. შენობებისა და სხვა უძრავი ქონების ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისა და ქონების აღდგენითი ღირებულების მეთოდები.

კომპანიამ შეცვალა საინვესტიციო ქონების სააღრიცხვო პოლიტიკა, რადგან მიაჩნია რომ გადაფასების მეთოდი, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უფრო ადეკვატურ ინფორმაციას აწვდის. კომპანიამ რეტროსპექტიულად გამოიყენა გადაფასების მეთოდი.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კომპანია ახორციელებს საიჯარო საქმიანობას, საიჯარო ობიექტების ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს სამშენებლო მასალების წარმოება რეალიზაცია, მაგალითად როგორიცაა ბლოკი, ცემენტი, ქვიშა, ასევე ხის და ლამინირებული ავეჯის წარმოება. აღსანიშნავია ის რომ ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები შესაბამისობაშია სააქციო საზოგადოების საკუთრებაში არსებული ტერიტორიის სტატუსთან, (სამრეწველო, საწარმოო ზონა.) შესაბამისად, კომპანიის მიერ არ ხდება რაიმე ტიპის უხეში დარღვევა არც გარემოს დაცვის კუთხით. საზოგადოების ტერიტორიაზე მრავლადაა ხემცენარეები და გამწვანებული ტერიტორია, რომლის შენარჩუნება გეგმაშია ნებისმიერი პროექტის ან გეგმის შემთხვევაში.

ფინანსური მაჩვენებლები

2000 წლიდან 2018 წლამდე საზოგადოების მიერ გასხვისებული იქნა აქტივები, განხორციელდა ნაწილი უძრავი ქონების, როგორც მიწის ნაკვეთების ასევე გარკვეული შენობა ნაგებობის გასხვისება-გაყიდვა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზოგადოების საინვესტიციო ქონების ღირებულება ჯამურად არის 9,806,757 ლარი. აქედან მიწის ღირებულება შეადგენს 8,955,357ლარს, ხოლო შენობა-ნაგებობების - 851,400 ლარს.

ფინანსურ ანგარიშგებებს კომპანია ამზადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>	10,030,680	10,442,642
ძირითადი საშუალებები	198,884	228,638
საინვესტიციო ქონება	9,806,757	10,214,004
სხვა გრძელვადიანი აქტივები	25,039	-
<i>მიმდინარე აქტივები</i>	498,260	72,522
სასაქონლო მატერიალური მარაგები	191	2,993
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	55,519	53,890
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	442,550	15,639
სულ აქტივები	10,528,940	10,515,164
კაპიტალი და რეზერვები		
სააქციო კაპიტალი	926,304	926,304
აკუმულირებული მოგება	9,136,767	9,549,927
სულ კაპიტალი	10,063,071	10,476,231
მიმდინარე ვალდებულებები	465,869	38,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	77,932	20,996
გადასახდელი დივიდენდები	387,937	17,937
სულ ვალდებულებები	465,869	38,933
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10,528,940	10,515,164

2018 წელს წინა წლებთან შედარებით კომპანიას ანგარიშებზე გაეზარდა თანხები, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2018 წლის ბოლოს მოხდა მიწის რეალიზაცია და მიღებული იქნა თანხა 162,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი.

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის მეტად გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

რისკები

კომპანიის რისკის მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია ანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებში, პროდუქტებსა და შეთავაზებულ მომსახურებებში ცვლილებების ასახვისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით. შესაბამისად მენეჯმენტის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე კომპანია არ დგას რაიმე მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ.

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის მაქსიმალური დაუცველობა საკრედიტო რისკის მიმართ აქტივების კლასით აისახება ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	55,519	53,889
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები	441,189	12,919
სულ	496,708	66,808

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი

დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. 2018 წლის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სესხები, შესაბამისად არ არსებობს საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის დაზღვევას.

ფინანსური აქტივები, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაანალიზებულია ვალუტის მიხედვით:

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აშშ დოლარი	412,924	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	412,924	-

ეს ცხრილი წარმოადგენს მოგების და ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	2018
USD გამყარება 10%	41,292
USD ინფლაცია 10%	(41,292)

რისკი გაანგარიშებულია მხოლოდ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ბალანსებისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფის მეშვეობით.

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე.

ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 2018 წლის 31 დეკემბრისა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვედა ცხრილში საგადასახადო ვალდებულების გათვალისწინებით:

წელი	მიმდინარე აქტივები	მიმდინარე ვალდებულები	სხვაობა
2017	66,808	38,933	27,875
2018	496,708	465,869	30,839

განვითარების გეგმები, მიზნები

ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

კომპანიას გააჩნია საბაზრო ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონება, რომელთან მიმართებაშიც მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს გაქირავება გაყიდვის კუთხით. მენეჯმენტის მოლოდინია რომ საინვესტიციო ქონებიდან ფულადი ნაკადების გენერირებას შეძლებს შემდეგი ერთი წლის განმავლობაში, შესაბამისად მენეჯმენტი მიიჩნევს რომ სამომავლო პროგნოზები ახალი მენეჯმენტის გეგმის გათვალისწინებით არის პოზიტიური.

საზოგადოების მიზნები:

საზოგადოების მიზანია მოგების მიღება, საზოგადოების საქმიანობის საგანია:

- სავაჭრო, საბარტერო, საბროკერო, სამარკეტინგო საქმიანობა;
- გამოფენა-გაყიდვების და აუქციონების მოწყობა და მათი ქსელების შექმნა და ექსპლუატაცია;
- მშენებლობა, სამშენებლო-სამონტაჟო, საპროექტო-სადიეზო სამუშაოების განხორციელება, უძრავ/მოდრავი ქონების იჯარით გაცემა;
- საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის გარემონტება, ტექნიკური მომსახურება და გაქირავება;
- სარეკლამო საქმიანობა;
- სატრანსპორტო მომსახურება;
- სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა;
- სპორტული და სხვა სანახაობითი ღონისძიებათა ორგანიზაცია;
- ავეჯის დაპროექტება, დამზადება, რესტავრაცია და რეალიზაცია.

2018 წლის ძირითადი მიზანი და მოლოდინია საზოგადოების მიერ დაგეგმილი პროექტი, და მისი შედეგები. დღეის მდგომარეობით სააქციო საზოგადოების საკუთრებაშია 53,998.00 კვ.მეტრის მიწის ნაკვეთი, რომელიც დაყოფილია რამოდენიმე საკადასტრო ერთეულად, ძირითადი ნაკვეთი რომელზეც მდებარეობს საიჯარო ობიექტები, ს/კ 01.12.12.001.198 , ფართობი 38,977 კვ.მეტრი და უახლოეს მომავალში რაიმე ცვლილება, ამ მიმართულებით (მაგ. გასხვისება, საკმევანობის შეჩერება ან, სხვა.) არაა მოსალოდნელი.

ხოლო მისი მომიჯნავე ნაკვეთი ფართობით 8,828 კვ.მეტრი საკ.კოდით 01.12.12.001.394 გამოიჯნულია შემდეგი მიზეზით: კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნულ ნაკვეთს შეუცვალონ სტატუსი (სამრეწველო) და მოხდეს მისი განაშენიანება მრავალფუნქციური სამშენებლო კომპლექსით. შესაბამისად კომპანიას შეტანილი აქვს პროექტი განაცხადის ნომრით, N# 01183622608-67 ქალაქ თბილისის მერიის ურბანულ სამსახურში და ეტაპობრივად იღებს დავალებებს და ახორციელებს ქმედებებს დასახული მიზნის მისაღწევად. პარალელურად ხდება საინვესტიციო ბაზართან გაცნობა, მიმდინარეობს შეხვედრები და მოლაპარაკებების წარმოება სხვადასხვა სამშენებლო თუ საბროკერო კომპანიებთან, თუმცა რაიმე სახის კონკრეტულ გარიგებას ამ ეტაპზე ადგილი არ აქვს.

კომპანია კეთილსინდისიერად ახორციელებს მის წინაშე არსებულ ყველა მოთხოვნას სახელმწიფოსა თუ მომხმარებლის მხრიდან, არ გააჩნია რაიმე სახის სასამართლო დავები, როგორც სახელმწიფო ისე კერძო უწყებებთან. არ აქვს დავალიანებები ბიუჯეტთან და სხვა რიგ ორგანიზაციებთან, რომლებთანაც უწევს თანამშრომლობა.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე : დავით პაპუნაშვილი

დირექტორი : თეონა ლებანიძე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი“-ს აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2019 წლის 30 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 30 აპრილის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებთ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 30 აპრილს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

16 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო



Closer to you

- საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის გარემონტება, ტექნიკური მომსახურება და გაქირავება;
- სარეკლამო საქმიანობა;
- სატრანსპორტო მომსახურება;
- სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა;
- სპორტული და სხვა სანახაობითი ღონისძიებათა ორგანიზაცია;
- ავეჯის დაპროექტება, დამზადება, რესტავრაცია და რეალიზაცია.

2018 წლის ძირითადი მიზანი და მოლოდინია საზოგადოების მიერ დაგეგმილი პროექტი, და მისი შედეგები. დღეის მდგომარეობით სააქციო საზოგადოების საკუთრებაშია 53,998.00 კვ.მეტრის მიწის ნაკვეთი, რომელიც დაყოფილია რამოდენიმე საკადასტრო ერთეულად, ძირითადი ნაკვეთი რომელზეც მდებარეობს საიჯარო ობიექტები, ს/კ 01.12.12.001.198 , ფართობი 38,977 კვ.მეტრი და უახლოეს მომავალში რაიმე ცვლილება, ამ მიმართულებით (მაგ. გასხვისება, საქმიანობის შეჩერება ან, სხვა.) არაა მოსალოდნელი.

ხოლო მისი მომიჯნავე ნაკვეთი ფართობით 8,828 კვ.მეტრი საკ.კოდით 01.12.12.001.394 გამოიჯნულია შემდეგი მიზეზით: კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნულ ნაკვეთს შეუცვალონ სტატუსი (სამრეწველო) და მოხდეს მისი განაშენიანება მრავალფუნქციური სამშენებლო კომპლექსით. შესაბამისად კომპანიას შეტანილი აქვს პროექტი განაცხადის ნომრით, № 01183622608-67 ქალაქ თბილისის მერიის ურბანულ სამსახურში და ეტაპობრივად იღებს დავალებებს და ახორციელებს ქმედებებს დასახული მიზნის მისაღწევად. პარალელურად ხდება საინვესტიციო ბაზართან გაცნობა, მიმდინარეობს შეხვედრები და მოლაპარაკებების წარმოება სხვადასხვა სამშენებლო თუ საბროკერო კომპანიებთან, თუმცა რაიმე სახის კონკრეტულ გარიგებას ამ ეტაპზე ადგილი არ აქვს.

კომპანია კეთილსინდისიერად ახორციელებს მის წინაშე არსებულ ყველა მოთხოვნას სახელმწიფოსა თუ მომხმარებლის მხრიდან, არ გააჩნია რაიმე სახის სასამართლო დავები, როგორც სახელმწიფო ისე კერძო უწყებებთან. არ აქვს დავალიანებები ბიუჯეტთან და სხვა რიგ ორგანიზაციებთან, რომლებთანაც უწევს თანამშრომლობა.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე :

დავით პაპუნაშვილი

რ. პაპუნაშვილი

დირექტორი :

თეონა ლებანიძე

